სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამეცნიერო კვლევების შედეგების კომერციალიზაციის და ინოვაციების
განვითარების ცენტრი

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

განხილული და დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე:

ოქმი № 21 1.12.2023 წ.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი: /მანანა ღარიბაშვილი/

თელავი

2023 წელი

მუხლი 1.ზოგადი დებულებანი

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) ,,სამეცნიერო კვლევების შედეგების კომერციალიზაციის და ინოვაციების განვითარების ცენტრი“ (შემდგომში - „ცენტრი“) წარმოადგენს საერთაშორისო პროექტების („უნივერსიტეტსა და საწარმოს შორის ურთიერთობა შვილობილი კომპანიების ქსელის მეშვეობით“ – UNISON და UCBP - ,,University Capasity Building Program'' რომელიც დაფინანსდა აშშ-ის საელჩოს მიერ თბილისში და განხორციელდა ,,ამერიკული საბჭოები საერთაშორისო განათლებისთვის'' მიერ) განხორციელების შედეგად დაფუძნებულ სტრუქტურულ ერთეულს.

2. ცენტრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით.

3. ცენტრი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს უნივერსიტეტის რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ კანონმდებლობის საფუძველზე დაკისრებულ მოვალეობებს და ანგარიშვალდებულია მათ წინაშე.

მუხლი 2. ცენტრის საქმიანობის ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

2.1. ცენტრის საქმიანობის ძირითადი ამოცანებია:

ა) უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტებისათვის საკუთარი ინოვაციური იდეებისა და პროექტების განვითარება და ხელშეწყობა;

ბ) უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტების მიერ ცენტრში საკუთარი იდეების განხილვის უზრუნველყოფა;

გ) უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტების მიერ საკუთარი ინოვაციური იდეების განხორციელებით პროდუქციის შექმნის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების ხელშეწყობა;

დ) წარმოდგენილი ინოვაციური პროექტის ფარგლებში, უნივერსიტეტში არსებული ტექნიკური მოწყობილობების საშუალებით სხვადასხვა აქტივობების განხორციელება;

ე) უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტებისათვის ბიზნეს მოდელების შექმნისა და მათი განხილვის უზრუნველყოფა;

ვ) უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული კვლევის შედეგების საფუძველზე საკონსულტაციო და საექსპერტო საქმიანობის განხორციელება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ზ) საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროცესში შექმნილი პროდუქციის რეალიზების პროცესის კოორდინაცია;
თ) უნივერსიტეტში არსებული ლაბორატორიების აკრედიტაციის პროცესის ხელშეწყობა, ხელმძღვანელობა და მათი კომერციული ფუნქციონირების მართვა;
ი) დასახული მიზნების მიღწევის მიზნით საგრანტო პროგრამებში/პროექტებში მონაწილეობა;
კ) ლაბორატორიული საქმიანობის პროცესში შექმნილი პროდუქციის წარმოება და რეალიზება;
ლ) დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობა;
მ) სამეცნიერო კვლევის შედეგების კომერციალიზაციის ხელშეწყობა;
ნ) ინოვაციური სტარტაპების წახალისების მიზნით ღონისძიებების ორგანიზება.

2.2. ცენტრის საქმიანობის ძირითადი ფუნქციებია:

ა) უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისთვის ტექნიკური კონსულტაციისა და დახმარების გაწევა;
ბ) ლაბორატორიების მუშაობის საკითხებთან დაკავშირებით სხვადასხვა ანალიზების ჩასატარებელი მეთოდიკების შესახებ რეკომენდაციების და კონსულტაციების გაწევა;
გ) ბიზნეს მოდელების ჩამოყალიბებისა და სრულყოფის მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა;
დ) შეხვედრების ორგანიზება ბიზნეს სექტორთან შექმნილი პროდუქტის პოპულარიზაციის მიზნით;
ე) სამეწარმეო საქმიანობის დაგეგმვის შესახებ კონსულტაციების გაწევა;
ვ) პროდუქტის პატენტის მიღებაში ხელის შეწყობა;
ზ) მოძიებულ საგრანტო პროექტებში პერსონალისა და სტუდენტების ჩართულობის ხელშეწყობა.

მუხლი 3. ცენტრის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა

1. ცენტრი წარმოადგენს უნივერსიტეტის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს, რომელსაც უძღვება ცენტრის ხელმძღვანელი. მას თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი რექტორთან შეთანხმებით. გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ცენტრის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელს და სხვა თანამშრომლებს ნიშნავს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი რექტორთნ შეთანხმებით.
2. ცენტრისთვის განსაზღვრული თანამდებობებია: ცენტრის ხელმძღვანელი, სამეცნიერო კონსულტანტი/ები და ტექნიკური პერსონალი.

3. ცენტრის თანამშრომლებს თანამდებობებზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი რექტორთან შეთანხმებით, ცენტრის ხელმძღვანელის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.

მუხლი 4. ცენტრის ხელმძღვანელი

ა) განსაზღვრავს ცენტრის საქმიანობის პრიორიტეტებს და პასუხისმგებელია მათ განხორციელებაზე;
ბ) უზრუნველყოფს ცენტრის მომსახურების განვითარებას;
გ) წარმართავს და ორგანიზებას უწევს ცენტრის მუშაობას;
დ) გეგმის მიხედვით ახდენს ტრენინგების ორგანიზებას;
ე) ორგანიზებას უწევს აკრედიტებული ლაბორატორიების კომერციული კუთხით მუშაობას;
ვ) ორგანიზებას უწევს უნივერსიტეტის კვლევით ნაკვეთზე დაგეგმილი კვლევითი სამუშაოების განხორციელებას;
ზ) შეიმუშავებს და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის შესაბამის ორგანოებს აკრედიტებულ ლაბორატორიაში კომერციული მიზნით შესასრულებელ სამუშაოთა კალკულაციას და გეგმას;
თ) ასახავს ვებ-გვერდზე დაგეგმილ პროექტებსა და განხორციელებული საქმიანობის შედეგებს საზოგადოების დაინტერესებისა და ცალკეული იურიდიული თუ ფიზიკური პირების მოზიდვის მიზნით;
ი) წარადგენს ანგარიშს ყოველწლიურად, აგრეთვე ნებისმიერ დროს უნივერსიტეტის რექტორისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავალებით;
კ) განახორციელებს ცენტრის ეფექტიან მართვასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სხვა აუცილებელ საქმიანობას.

მუხლი 5. ცენტრის პერსონალის სამუშაოთა აღწერილობა

5.1. ცენტრის სამეცნიერო კონსულტანტ(ებ)ი:

ა) სამეცნიერო კონსულტანტი/ების მოწვევა ხდება ცენტრის ხელმძღვანელის მიერ პერიოდულად მიმდინარე პროექტების საჭიროებისა და მოთხოვნის მიხედვით;
ბ) სამეცნიერო კონსულტანტი/ები უზრუნველყოფს შესაბამისი მიმართულების კვალიფიციურ საკონსულტაციო მომსახურეობას, რომლის პირობებიც გაწერილია შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

5.2. ცენტრის ტექნიკური პერსონალი:

ა) ცენტრის ტექნიკური პერსონალის მოწვევა ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ცენტრის საჭიროების და მოთხოვნის მიხედვით;
ბ) ტექნიკური პერსონალი უზრუნველყოფს ტექნიკური სახის დახმარების გაწევას.

მუხლი 6. ცენტრის ქონება

თავის ფუნქციათა განსახორციელებლად ცენტრი სარგებლობს უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული ქონებით, აგრეთვე უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ქონების მიზნობრივად გამოყენებას, შენახვისა და გამართულ მდგომარეობაში შენარჩუნებას.

მუხლი 6. ცენტრის ფინანსები

6.1. ცენტრის დაფინანსების წყაროებია:

ა) უნივერსიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული მიზნობრივი დაფინანსება;
ბ) გრანტებისა და პროექტების საფუძველზე მიღებული შემოსავლები;
გ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა, მათ შორის, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები.

მუხლი 7. ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

ცენტრის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

ა) დებულება ძალაშია აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ მისი დამტკიცების მომენტიდან;

ბ) ფინანსური და საბუღალტრო ანგარიშგების ფორმები, ხელშეკრულებები, სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტები და სხვა რეგულირდება შიდა ადმინისტრაციული აქტებით;

გ) დებულებაში ცვლილებებსა და დამატებებს შეიმუშავებს ცენტრის ხელმძღვანელი, რასაც განიხილავს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო და ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო;

დ) დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების ან ცენტრის ლიკვიდაციის შემთხვევაში;

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი: /მანანა ღარიბაშვილი/